

**პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა შესარჩევი
კონკურსის შესახებ ინფორმაცია**

1. ვაკანსიის დასახელება:

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

2. შესარჩევ კანდიდატთა რაოდენობა - შეირჩევა ყველა ის კანდიდატი, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს.

3. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) პროფესიული ან აკადემიური უმაღლესი განათლება (სასურველია ბაკალავრის/მაგისტრის კვალიფიკაცია განათლების ადმინისტრირების/ბიზნესის ადმინისტრირების/სოციალური მეცნიერებების მიმართულებით);

ბ) პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ბ.ა) „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

ბ.ბ) „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;

ბ.გ) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;

ბ.დ) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;

ბ.ე) „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე აქტები;

გ) კომპიუტერული პროგრამების (MICROSOFT WORD; EXCEL; POWER POINT) ცოდნა;

დ) ენები: სავალდებულოა ქართულ ენაზე გამართული წერითი და ზეპირი მეტყველება; სასურველია უცხო ენის (ინგლისური, რუსული და სხვა) ცოდნა;

ე) შემდეგი უნარების/პიროვნული თვისებების ქონა:

ე.ა) ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი;

ე.ბ) სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი;

ე.გ) კონფლიქტების მართვა;

ე.დ) ემოციური ინტელექტი;

ე.ე) მოტივაცია;

ე.ვ) გუნდური მუშაობა;

ე.ზ) ეფექტური კომუნიკაცია;

ე.თ) პრეზენტაციის მომზადება;

ე.ი) სამართლიანობა;

ე.კ) პასუხისმგებლიანობა;

ე.ლ) დეტალებზე ორიენტირებულობა;

ე.მ) ორგანიზებულობა;

ე.ნ) ვადებზე ორიენტირებულობა;

ე.ო) ყურადღების კონცენტრაცია;

ვ) კომპეტენციები:

ვ.ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შეფასების კომპეტენცია;

ვ.ბ) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომპეტენცია;

ვ.გ) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პერსონალის მართვასა და განვითარებასთან დაკავშირებული პროცესების შეფასების კომპეტენცია;

ვ.დ) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების შეფასების კომპეტენცია;

ვ.ე) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის შეფასების კომპეტენცია;

ვ.ვ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური მდგრალობის შეფასების

კომპეტენცია;

ვ.ზ) ხარისხის მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის კვლევის ჩატარების კომპეტენცია;

ვ.თ) თვითშეფასების დოკუმენტის მომზადების კომპეტენცია;

ვ.ი) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის მართვის მექანიზმების შემუშავების კომპეტენცია.

4. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის ფუნქციებია:

ა) ცენტრის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის წინასწარ შესწავლა და ანალიზი, ადმინისტრაციული წარმოების მიზნების შესაბამისად (ავტორიზაცია, პროგრამის დამატება, მონიტორინგი და სხვა);

ბ) დოკუმენტაციის საფუძველზე შენიშვნების, მოსაზრებებისა და შეკითხვების მომზადება და ექსპერტთა ჯგუფში გაზიარება;

გ) ვიზიტის დღის წესრიგის შემუშავებაში მონაწილეობა, ხოლო თავმჯდომარის შემთხვევაში - მისი კოორდინაცია და დამტკიცება;

დ) ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობების ეფექტიანი განაწილება (თავმჯდომარის შემთხვევაში), მათი კომპეტენციის გათვალისწინებით;

ე) დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში:

ე.ა) ინტერვიუების ჩატარება დაწესებულების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან;

ე.ბ) ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერება;

ე.გ) საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა;

ვ) ვიზიტის მიმდინარეობისას და დასრულებისას ძირითადი მიგნებების იდენტიფიცირება, გაზიარება და შეჯამება (თავმჯდომარე - პროცესის ხელმძღვანელობით);

ზ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დასკვნის პროექტის მომზადებაში მონაწილეობა, ხოლო თავმჯდომარის შემთხვევაში - დასკვნის პროექტის ფორმირება და წარდგენა;

თ) დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინება და საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა;

ი) საჭიროების შემთხვევაში ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისთვის დამატებითი აქტივობების განხორციელება;

კ) შესაბამის საბჭოს სხდომაზე დასკვნის წარდგენა და განხილვაში მონაწილეობა;

ლ) დასკვნის პროექტზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობა და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარისთვის საკუთარი მოსაზრების წარდგენა პროექტში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე;

ზ) დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება;

თ) საკუთარი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამისი ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილვაში მონაწილეობა.

5. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის შერჩევის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატი ვალდებულია:

ა) წარადგინოს ავტობიოგრაფია - CV, რომლითაც უნდა დასტურდებოდეს კანდიდატის სამუშაო გამოცდილება, ასევე, მე-3 მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტებით განსაზღვრული ცოდნა;

ბ) განაცხადს უნდა დაერთოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლები;

გ) სამოტივაციო წერილი ქართულ ენაზე.

კანდიდატის საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს მხოლოდ ცენტრის ელექტრონული ფოსტის - jobs@eqe.ge - მეშვეობით.

6. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა შერჩევის მიზნით გამოცხადებული კონკურსის ეტაპებად განისაზღვროს:

1) განაცხადის წარდგენა - 2026 წლის 25 მაისიდან 2026 წლის 9 ივნისის ჩათვლით;

2) განაცხადების გადარჩევა - 2026 წლის 19 ივნისის ჩათვლით;

3) კანდიდატთა შეფასება (გასაუბრება) - 2026 წლის 21 ივლისის ჩათვლით.

4) კომისიის მიერ შერჩეულ კანდიდატთა წარდგენა ცენტრის დირექტორისათვის - 2026 წლის 24 ივლისის ჩათვლით;

5) ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით პირის შეყვანა ექსპერტთა კორპუსში - 2026 წლის 31 ივლისის ჩათვლით.